სამი მატჩი

27 აგვისტოს ქ. სტალინოში ახლად გახსნილ სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი “შახტიორისა” და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა მეტად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა. პირველ ნახევარში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია წარმატებას.

მეორე ნახევარში თბილისელებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს შეტევა. მე-15 წუთზე თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვარდიმიადიმ ბურთი გაგზავნა მასპინძლების ბადეში. არ გასულა 4 წუთი და მახარაძემ (#8) მეორე ბურთი გაიტანა “შახტიორის” კარში. დონბასელები არ დაიბნენ. მათ ყველა ღონე იხმარეს საპასუხო ბურთის გასატანად და მალე კოლესნიკოვმა გაქვითა ერთი ბურთი. მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე “შახტიორმა” გაქვითა მეორე ბურთიც. შეხვედრა დამთავრდა ფრედ _ 2:2.

“ლელო”, 1 სექტემბერი 1950 წ.